საია დაკავებულთა უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს

2011 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მიერ აქციის დაშლის შემდეგ შსს-ს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად დაკავებულია 90 ადამიანი, რომელთა ნაწილს ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, ნაწილს კი ფულადი ჯარიმა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავს დაკავებული პირების ინტერესებს და ამ წუთამდე ორგანიზაციის წარმომადგენლები განაგრძობენ ინფორმაციის მოპოვებას

დაკავებულთა ვინაობისა და ადგილსამყოფელის შესახებ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, მაგრამ ამ ინფორმაციის მიღება თითქმის შეუძლებელია. საია-ს ადვოკატებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, მოინახულონ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირები წინასწარი მოთავსების იზოლატორში. მოვუწოდებთ შს სამინისტროს, გამოაქვეყნოს 2011 წლის 26 მაისს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გამართული საპროტესტო აქციის დაშლის პროცესში დაკავებული პირების სია, რათა მოგვეცეს შესაძლებლობა, სამართლებრივი დახმარება აღმოვუჩინოთ აღნიშნულ პირებს. ასევე, მოვითხოვთ, სამართალდამცავმა ორგანოებმა დაადგინონ იმ პირების ადგილსამყოფელი, რომელთა შესახებ არ არსებობს ინფორმაცია.

აქვე გვსურს, მიმოვიხილოთ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკავებულ პირთა საქმეების განხილვის პროცესი. საია-ს ადვოკატებს სასამართლოში სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ დაკავებული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით. მათ აგრეთვე თავიდან არ მიეცათ დაცვის განხორციელების შესაძლებლობა.

დაკავებულ პირებს აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები. მოსამართლეების მხრიდან, როგორც წესი, აღნიშნული ფაქტები რეაგირების გარეშე რჩებოდა - ისინი არ ინტერესდებოდნენ, თუ რა ვითარებაში მოხდა აღნიშნული დაზიანებების მიღება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ერთადერთი მტკიცებულება, რასაც სასამართლო ეყრდნობოდა, იყო პოლიციის თანამშრომლის ახსნა-განმარტება, სამწუხაროდ სასამართლო არ ინტერესდებოდა დამატებითი მტკიცებულებების არსებობის ფაქტით. ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან არ ხდებოდა იმის გამორკვევა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა დაკავებულის მხრიდან პოლიციის მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი და სასამართლოზე წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმები აბსოლუტურად იდენტური იყო და განსხვავდებოდა მხოლოდ დაკავებული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების ნაწილში.

რიგ შემთხვევაში დაფიქსირდა არათანაბარი მოპყრობა დაკავებულ პირებთან მიმართებაში: კერძოდ, თავდაპირველად დაკავებული პირების მიმართ, რომლებიც აღიარებდნენ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, სახდელის სახედ გამოიყენებოდა პატიმრობა, ხოლო მოგვიანებით - იდენტური გარემოებების მქონე საქმეებში სანქციად იყენებდნენ ჯარიმას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე დაკავებულმა პირმა უარი განაცხადა ადვოკატის

დახმარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს აღენიშნებოდა გარეგნული დაზიანებები. მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს და ეჭვს, რომ დაკავებულებზე ხორციელდებოდა ზეწოლა.

საია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის, როგორც პროფესიული და ამავე დროს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია, ვალდებული იყო მოქალაქეებისთვის მიეწოდებინა ზუსტი ინფორმაცია საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, რათა მათ შეძლებოდათ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება და აქციის მონაწილეებს ჰქონოდათ ინფორმაცია იმ საფრთხეების შესახებ, რაც მათ შეიძლებოდა დამუქრებოდა.

თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალური საფუძველი არ ამართლებს სამართალდამცავთა მიერ აქციის შეწყვეტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. მიუხედავად კანონით მინიჭებული უფლებამოსილებისა, ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, ემოქმედათ საზოგადოების ინტერესების პროპორციულად, აქციის მონაწილეთა ფუნდამენტური უფლებების გათვალისწინებით.

კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ სამართალდამცველთა მხრიდან დაფიქსირდა ძალის გადამეტება, რაზეც აუცილებლად უნდა დაიწყოს სრული და მიუკერძოებელი გამოძიება, ხოლო დამრღვევი პირები უნდა მიეცნენ პასუხისგებაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს აქციაზე დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.